KA030169913705219

№ 01-7922 **05 / აგვისტო / 2019 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის მინისტრს
ქალბატონ ეკატერინე ტიკარაძეს

მინისტრის პირველი მოადგილის
ზაზა ბოხუას

მოხსენებითი ბარათი

ქალბატონო ეკატერინე,

მოგახსენებთ, რომ „დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 11 ნოემბრის № 624 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 1 მაისის № 215 დადგენილებით ცვლილება შევიდა „დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების პროგრამაში“, რომლის თანახმადაც პროგრამას დაემატა შემდეგი კომპონენტები:

ა) საექიმო სპეციალობებში – „ალერგოლოგია-იმუნოლოგია“, „ინფექციური სნეულებები“, „ფთიზიატრია-პულმონოლოგია“, „გასტროენტეროლოგია“, „ნეფროლოგია“, „რევმატოლოგია“, „ჰემატოლოგია/ ტრანსფუზიოლოგია“, „ბავშვთა ნევროლოგია“, „ბავშვთა კარდიოლოგია-რევმატოლოგია“, „დერმატო-ვენეროლოგია“, „უროლოგია“, „კარდიოქირურგია“, „ოტორინოლარინგოლოგია“, „ოფთალმოლოგია“, „ნეიროქირურგია“, „ბავშვთა გადაუდებელი მედიცინა“, „კლინიკური ონკოლოგია“, „პათოლოგიური ანატომია – კლინიკური პათოლოგია“, „სასამართლო მედიცინა“, „ბავშვთა ქირურგია“ - ტესტ-კითხვარების გადამუშავება და ბაზების განახლება;

ბ) ერთიანი დიპლომისშემდგომი საკვალიფიკაციო გამოცდებისათვის პროფილით – „მედიცინა“ და „სტომატოლოგია“ ტესტ-კითხვარების გადამუშავება (მ.შ. დახურული ბაზის ღია ბაზასთან ინტეგრირება) და ბაზების განახლება.

მოგახსენებთ, პროგრამის განხორციელების მეთოდოლოგიის მიხედვით (მე-4 მუხლი), აღნიშნული სახელმიწიფო მომსახურების შესყიდვა განხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად - გამარტივებული შესყიდვით.

ერთიანი დიპლომისშემდგომი საკვალიფიკაციო და სახელმწიფო სასერტიფიკაციო ტესტ-კითხვარების გადამუშავებასა და ბაზის განახლებას განახორციელებენ ადგილობრივი ექსპერტები (ექსპერტების ნუსხა მოცემულია დანართ 1-ში), მათთან გაფორმებული სათანადო ხელშეკრულებების ფარგლებში, რომლებშიც, ასევე, გათვალისწინებული იქნება კონფიდენციალობის ვალდებულება განახლებულ ბაზასთან მიმართებით.

ამასთან, მოგახსენებთ, რომ სამუშაოს მოცულობიდან გამომდინარე, მართებულად მიგვაჩნია, განხორციელდეს მომზადებული დოკუმენტების ეტაპობრივი ჩაბარება, რაც აისახება ექსპერტებთან დადებულ ხელშეკრულებებში. კერძოდ, ვფიქრობთ:

ა) ერთიანი დიპლომისშემდგომი საკვალიფიკაციო გამოცდებისათვის („მედიცინა“, „სტომატოლოგია“) ტესტ-კითხვარების გადამუშავება დასრულდეს 2019 წლის 10 ოქტომბერს, ხოლო ახალი ტესტ-კითხვარების წარმოდგენის საბოლოო ვადად განისაზღვროს 2019 წლის 5 ნოემბერი;

ბ) სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის:

ბ.ა) საექიმო სპეციალობებში – „ალერგოლოგია-იმუნოლოგია“, „ფთიზიატრია-პულმონოლოგია“, „გასტროენტეროლოგია“, „ნეფროლოგია“, „რევმატოლოგია“, „ბავშვთა ნევროლოგია“, „დერმატო-ვენეროლოგია“, „ბავშვთა გადაუდებელი მედიცინა“ ტესტ-კითხვარების გადამუშავება დასრულდეს 2019 წლის 10 ოქტომბერს, ახალი ტესტ-კითხვარების მომზადება კი - 2019 წლის 10 ნოემბერს;

ბ.ბ) საექიმო სპეციალობებში – „ინფექციური სნეულებები“, „ჰემატოლოგია/ტრანსფუზიოლოგია“, „ბავშვთა კარდიოლოგია-რევმატოლოგია“, „უროლოგია“, „კარდიოქირურგია“, „ოტორინოლარინგოლოგია“, „ოფთალმოლოგია“, „ნეიროქირურგია“, „კლინიკური ონკოლოგია“, „პათოლოგიური ანატომია – კლინიკური პათოლოგია“, „სასამართლო მედიცინა“, „ბავშვთა ქირურგია“ ტესტ-კითხვარების გადამუშავება და ახალი ტესტ-კითხვარების მომზადება დასრულდეს 2019 წლის 15 დეკემბერს.

გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას ერთიანი დიპლომისშემდგომი საკვალიფიკაციო და სახელმწიფო სასერტიფიკაციო ტესტ-კითხვარების შესყიდვასთან დაკავშირებით.

თანხმობის შემთხვევაში, გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურს შემდგომი ღონისძიებების განხორციელება.

პატივისცემით,

მინისტრის პირველი მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ზაზა ბოხუა